პირობითი აღნიშვნები და შემოკლებები

1) ნიშანი “o” აღნიშნავს “ჩანს”, “მოხსენიებულია”. მაგ.: “o” (1781-1829) ნიშნავს, რომ პოცემული პიროვნება მოხსენიებულია (ჩანს) დოკუმენტებში, პირველად, 1781 და, ბოლოს, 1829 წელს. ან, მაგ. o 1814, ნიშნავს, რომ აღნიშნული პიროვნება ჩანს დოკუმენტებში 1814 წელს.

2) ნიშანი „a” _ პირველი ასო ლათინური სიტყვისა „ante”, რას ნიშნავს „-მდე”. მაგ., ჩანაწერი (1800-a.1830) აღნიშნავს, რომ მოცემული პიროვნება დაიბადა 1800 წელს და გარდაიცვალა 1830 წლამდე.

3) ნიშანი „p” _ პირველი ასო ლათინური სიტყვისა „post”, რაც ნიშნავს, „შემდეგ”. მაგ., ჩანაწერი (1800-p.1899) აღნიშნავს, რომ მოცემული პიროვნება დაიბადა 1800 წელს და გარდაიცვალა 1899 წლის შემდეგ.

4) ასო „დ” აღნიშნავს „დაიბადა”. (მაგ. დ.1942).

5) ასო „გ” აღნიშნავს „გარდაიცვალა”. მაგ. (o1860-გ.1901), ანუ ჩანს დოკუმენტებში 1860 წელს და გარდაიცვალა 1901 წელს.

6) ნიშანი „N” აღნიშნავს ფაქტს, რომ მოცემული პიროვნების სახელი (ან გვარი) უცნობია.

7) ნიშანი „N.N.” _ სახელი და გვარი უცნობია.

8) ნიშანი „?” თარიღის ნაცვლად აღნიშნავს, რომ თარიღი (დაბადების, ან გარდაცვალების წელი) უცნობია. მაგ., ჩანაწერი (?-1808), აქ დაბადების წელი უცნობია, ხოლო გარდაცვალებისა არის 1808. ან (1798-?), აქ ცნობილია დაბადების წელი 1798, მაგრამ უცნობია გარდაცვალებისა.

9) ნიშანი „~” აღნიშნავს ქორწინებას. თარიღი და გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ამ ნიშნის შემდეგ აღნიშნავს ქორწინების თარიღს და ადგილს, სადაც ქორწინება არის რეგისტრირებული. მაგ. „~” (15.01.1868) (ყვარელი) აღნიშნავს, რომ ქორწინება რეგისტრირებულია 15.01.1868 წელს ყვარელში.

10) ორმაგი ნუმერაცია ნუსხის პირველსავე სახელთან: მაგ. ნუსხა 6 იწყება პაპუა გიორგის ძე ერისთავით, ორმაგი ნუმერაციით “8-1”, რასაც მოსდევს ჩანაწერი (იხ. ნუსხა 2). ეს ნიშნავს, რომ მოცემული პიროვნება, ანუ პაპუა გიორგის ძე ერისთავი, პირველად, მოხსენიებულია ნუსხა 2-ში მე-8 ნომრით, ხოლო მოცემულ ნუსხა 10-ში იგი არის ნომერი “1”.



ნუსხა 1-ის კომენტარები

1. ნუგზარ არაგვის ერისთავი. ჩანს (1559-1619)
~ I. დედისიმედი N., ~ II. მარიამ, თავად ომან ჩოლოყაშვილის ასული. (ნიკიფორე ერბახის და). (ჩანს 1623).

2/1. ბაადურ (ბაინდურ) ნუგზარის ძე. არაგვის ერისთავი (1618-1621) წლებში (?-1621, ახლო). მოკლულ იქნა ცოლის წაქეზებით მისივე საყვარლის, საბვერელ ჩიჯავაძის მიერ. ~ N., დავით XI-ის (დაუდხანის) ასული, როსტომ მეფის ნახევარდა.

3/1. ზურაბ ნუგზარის ძე. (?-1630). არაგვის ერისთავი (1621-1630) წლებში სპასალარი, მოაკვლევინა სიმამრმა. ~ (1623) დარეჯან ბატონიშვილი, თეიმურაზ I-ის ასული. (?-1668). მოკლა ხოსია ახვლედიანმა.

4/1. დავით (დათუნა) ნუგზარის ძე. (?-1635). როსტომ მეფის ბრძანებით მოკლეს მუხრანში 1635 წელს.

5/1. გიორგი ნუგზარის ძე. ჩანს (1617-1647). ძმის, ზურაბის, ბრძანებით თვალები დასთხარეს 1626 წელს. ~ ელენე, თავად ქაიხოსრო მუხრანბატონის ასული. ჩანს (1627-1675).

6/1. ზაალ ნუგზარის ძე. არაგვის ერისთავი (1635-1660) წლებში. მიიღო მაჰმადიანობა. (ჩანს 1626-გ.1660). მოკლეს ძმისშვილებმა. (იხ. კომენტარი [1]12/2).
~ N., ბეჟია ჩხეიძის ძმისწული.

7/1. რევაზ ნუგზარის ძე. (ჩანს 1626-გ. 1679). არაგვის ერისთავი (1670-1679) წლებში. ~ N., შოშიტა რაჭის ერისთავის და. (ჩანს 1660).

8/1. ანა ნუგზარის ას.; (ჩანს 1618). ~ თეიმურაზ მუხრანბატონი. (?-1625). დაიღუპა მარაბდის ომში.

9/1. მარეხ ნუგზარის ას.; ~ გიორგი სააკაძე. (1575-1629).

10/1. N., ნუგზარის ას.; ~ გიორგი ზერქეზი (სიმონ II-ის მკვლელი). ჩანს (1630-1640).

11/1. N., ნუგზარის ას.; ~ ბიძინა ივანეს ძე ჩოლოყაშვილი, "წამებული" (?-1661).

12/2. ქაიხოსრო ბაადურის ძე. (ჩანს 1661). ძმებთან, ლუარსაბთან და გიორგისთან და ბიძაშვილებთან, გიორგის შვილებთან, ოთართან, დათუნასთან და ედიშერთან ერთად, მოაწყვეს შეთქმულება და მოკლეს თავისი ბიძა ზაალი.

15/2. როდამ ბაადურის ას.; (ჩანს 1662) ~ იესე ქსნის ერისთავი. მოკლეს 1642 წ.

16/6. ზურაბ ზაალის ძე. (?-1661) ~ N., (1655) მეფე ვახტანგ V შაჰნავაზის ასული.

17/6. ოტია ზაალის ძე. ჩანს (1660-1888). ნაბერალი.

18/6. ქეთევან ზაალის ას.; ~ შალვა ქსნის ერისთავი ("წამებული') (?-1661).

19/6. ელენე (ლელუკა) ზაალის ას.; ჩანს (1686-1705) ~ თავადი ფარემუზ ჯამასპის ძე ჩოლოყაშვილი (ჩანს ბერად 1689 წ.).

20/6. თინათინ (მონაზვნობაში _ თეონა). ზაალის ას.; (?-1709). ~ თავადი ლევან პაატას ძე აბაშიძე. (?-1684). გიორგი-მალაქიას უფროსი ძმა. დაიღუპა როკითის ომში.

21/6. ანახანუმ ზაალის ას.; (?-1718). ~ თავადი ანდუყაფარ გივის ძე ამილახვარი.

22/6. N., ზაალის ას.; (ჩანს 1700). ~ ვახტანგ (ორბელ) ყაფლანის ძე ორბელიანი. (?-1695).

23/7. პაატა რევაზის ძე. ჩანს (1667-1700). მდივანბეგი.

27/7. მარიამ რევაზის ას.; ~ (1669) ლუარსაბ ბატონიშვილი, ვახტანგ V-ს ძე. (?_1698).

32/23. ბაღათურ (აღათანგ) პაატას ძე. ჩანს (1695-1728). სახლთუხუცესი.



ნუსხა 2-ის კომენტარები

2/1. ოთარ გიორგის ძე. ჩანს (1626-1670). არაგვის ერისთავი (1660-1666) წლებში.
~ I. მარიამ N.; (?-1674). ~ II. მარიამ, ენისელთმოურავის, მერაბ ჯორჯაძის ასული. ჩანს (1688-1693).

3/1. ედიშერ გიორგის ძე. (ჩანს 1626-გ.1670). არაგვის ერისთავი (1666-1670) წლებში. მდივანბეგი (1666). მსახურთუხუცესი (მსაჯულთუხუცესი). ~ ანახანუმ აბაშიძე (?-1674).

5/1. იასონ გიორგის ძე. (ჩანს 1661-გ.1680). არაგვის ერისთავი (1679-1680) წლებში. დედოფლის სახლთუხუცესი. მოკლა ვახტანგ ციციშვილმა. ~ ქეთევან (მონაზვნობაში ნინო). (ჩანს 1706).

6/1. გრიგოლ გიორგის ძე. (ჩანს 1689). ~ დარეჯან N.;

8/1. პაპუა (პაპუნა) გიორგის ძე. ჩანს (1626-1661), გ. 1691. ეშიკაღაბაში. ~ დარეჯან N.; (?-a. 1692).

9/2. ბაადურ (ბაინდურ) ოთარის ძე. (ჩანს 1678-გ.1700). ბოქაულთუხუცესი. ~ თამარ ციციშვილი. (ჩანს 1701).

10/2. გიორგი ოთარის ძე. (ჩანს 1676-გ.1723). მეფე ბაქარის სიმამრი. მეფე ბაქარმა მას თავი გადააგდებინა 1723წ., ღალატისათვის. ~ დარეჯან (თამარ), თავად თამაზ ორბელიანის ასული. (?-1737).

11/2. ბარძიმ ოთარის ძე. ჩანს (1688-1693). მდივანბეგი.

12/2. ავთანდილ ოთარის ძე. ჩანს (1688-1693). ბაზიერთუხუცესი.

13/2. ონოფრე ოთარის ძე. თბილელი. ჩანს (1688-1693).

14/2. ეკატერინე (თინათინ) ოთარის ას.; (ჩანს 1701). ~ თავადი ვახტანგ ნოდარის ძე ციციშვილი, ჩანს (1664-1701). (იასონ არაგვის ერისთავის მკვლელი) (იხ. ნუსხა 2, [1]5/1).

15/3. ანახანუმ ედიშერის ას.; (ჩანს 1655). ~ პაპუნა პაატას ძე ბარათაშვილი (გერმანოზის სახლი). ბოქაულთუხუცესი, ჩანს (1646-1661).

18/9. N., ბაადურის ას.; (ჩანს 1711) ~ მეფე თეიმურაზ II. (1693-1762) განქორწინება 1711 წ.

19/10. ოთარ (“ლოპინა”) გიორგის ძე. (ჩანს 1705-გ.1739, ასტრახანში) ბაზიერთუხუცესი, ელიაღასი, მდივანბეგი. წავიდა რუსეთს 1724 წელს.

20/10. ბარძიმ გიორგის ძე. ჩანს (1723-1736), გ.1739. შანშე ქსნის ერისთავმა მოაკვლევინა ოჯახითურთ.

21/10. რევაზ (რომანოზ) გიორგის ძე. (ჩანს 1705-გ.30.01.1753). მთავარეპისკოპოსი რუსეთში.

24/10. ვახუშტი გიორგის ძე. (ბერობაში-ვასილი). ჩანს (1732-1736) ~ ქეთევან N.; (მონაზვნობაში-ქრისტინე).

27/10. თინათინ გიორგის ას.; (ჩანს 1701). ~ თავადი ვახტანგ ნოდარის ძე ციციშვილი. (ჩანს 1701).

28/10. ანა გიორგის ას.; (1706-18.02.1780) ~ მეფე ბაქარ, ვახტანგ VI-ის ძე. (1700-1750).

29/10. N., გიორგის ას.; ~ თავადი თომა პაატას ძე ანდრონიკაშვილი. ჩანს (1737-1754).

30/11. გიორგი ბარძიმის ძე. (?-1736). რუსეთში – Erop.

31/11. გულქან (გუქა) ბარძიმის ას.; (?-1717) ~ (1712) სიმონ ბატონიშვილი, ვახტანგ VI-ის ძმა. (1683-1741).

32/19. დავით ოთარის ძე. (1718-1763). პორუჩიკი.

36/20. ბარბარე ბარძიმის ას.; (?-1790). ~ კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონი. (1716-1756).

39/38. დიმიტრი ალექსის ძე. (1797-9.10.1858). ფლოტის გენერალ-აუდიტორი, სენატორი, მწერალი. ~ სოფიო ივანეს ას. N. (7.09.1817-29.01.1897).

42/38. ელენე ალექსის ას.; (1.07.1810-12.01.1878). ~ ილია ლოგინის ძე განზეი. (?-1873).



ნუსხა 3-ის კომენტარები

2/1. თეიმურაზ იასონის ძე. ჩანს (1688-1731). სახლთუხუცესი (1706წ.) მოკლულია ძმის, რევაზის, მიერ.

4/1. რევაზ იასონის ძე. ჩანს (1688-1731). ~ თამარ N. მოკლა ძმა, თეიმურაზი.

5/2. ბაინდურ თეიმურაზის ძე. ჩანს (1688-1723). ელჩი რუსეთში.

7/2. ოტია თეიმურაზის ძე. (ჩანს 1692-გ.1743). მოკლეს.

8/2. ანა თეიმურაზის ას.; ჩანს (1692-1703). ~ თავადი ლუარსაბ ასლანის ძე ორბელიანი. ჩანს (1690-1728).

11/3. თამარ ედიშერის ას.; (?-1735). ~ თავადი მზეჭაბუკ თამაზის ძე ორბელიანი. ჩანს (1692-1718).

12/4. სარიდან რევაზის ძე. ჩანს (1729-1767). მდივანბეგი. იყო ბრმა. ძმის, ბეჟანის, დაღუპვის შემდეგ, მეფეების, თეიმურაზის და ერეკლეს მიერ იქნა გადასახლებული არაგვის ხეობიდან კახეთში. ~ როდამ, თავად ბეჟან რატიშვილის ასული. (ჩანს 1765).

13/4. ბეჟან რევაზის ძე. (?-1743). ყორჩიბაში. მოკლეს საკუთარმა ყმებმა.

14/12. ბეჟან სარიდანის ძე. (ჩანს 1767-გ.29.04.1824). კარის მრჩეველი, ("надворный советник").

15/13. სვიმონ ბეჟანის ძე. დეკანოზი (протоикрей).

16/13. N., ბეჟანის ას.; (ჩანს 1742). ~ თავადი რევაზ ოთარის ძე ამილახვარი. (?-1775).

17/14. იოსებ ბეჟანის ძე. ჩანს (1798-1809). მონაწილეობდა მეფე ერეკლეს დაკრძალვაში (1798).

18/14. რაფიელ ბეჟანის ძე. (ჩანს 1767-გ.1823). მონაწილეობდა მეფე ერეკლეს დაკრძალვაში. მოკლეს კახეთში, ბუნტის დროს. ~ I. ნინო N. (ჩანს 1814) ~ II. ელისაბედ ქაიხოსროს ას. N.; (1780-1.08.1833).

19/14. გიორგი ბეჟანის ძე. (1787-18.12.1822). ~ ნინო, თავად მალხაზ ანდრონიკაშვილის ასული. იყო ახალშობილი ილია ჭავჭავაძის ნათლია. (1793-24.08.1868).

20/14. სარიდან ბეჟანის ძე. ჩანს (1849-1852). დავით გარეჯის ბერი სოფრონიოს.

22/14. ანა ბეჟანის ას.; ჩანს (1834-1838) ~ თავადი ომან მაყას ძე მაყაშვილი. (?-a.1820).

23/18. ივანე რაფიელის ძე. (1788-27.09.1840). თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი (1825), პოლკოვნიკი. ~ მაკრინე, თავად პაატა ჭავჭავაძის ასული. (1792-1872).

24/18. დავით რაფიელის ძე. (1795-6.08.1875). პრაპორშჩიკი. ~ I. (19.01.1820) ნინო, თავად ავთანდილ ამილახვრის ასული. (?-6.09.1839) ~ II. (უკანონოდ) თამარ ბუგდანოვა. (სომეხი). იწოდებოდნენ არისტოვებად.

25/19. გიორგი გიორგის ძე. ("კიაზო"). (1821-13.12.1909). გენერალ-ლეიტენანტი. ~ I. ნინო, თავად ლუარსაბ სუმბათაშვილის ასული. (1827-17.05.1853). ~ II. (1.05.1855) თინათინ (თიკო), თავად ალექსანდრე ჩოლოყაშვილის ასული. (1839-1870); ~ III. (28.07.1878) ანა, თავად ელიზბარ ქსნის ერისთავის ასული. (1846-p.1898).

28/25. მარიამ (მალუცა) გიორგის ას.; (1.05.1852-1931), ~ (25.07.1873) თავადი ნიკოლოზ ზაქარიას ძე ავალიშვილი. (1842-1895). ჩუმლაყი.

29/25. თამარ გიორგის ას.; (8.07.1856-1940). ~ (12.11.1881) თავადი ივანე ალექსანდრეს ძე ჯანდიერი. (1853-1923). ს. ველისციხე.

30/25. სიმონ გიორგის ძე. (20.09.1857-13.08.1910). პოდპოლკოვნიკი.

32/25. მიხეილ გიორგის ძე. (16.08.1860-22.01.1932). ~ (28.07.1895) ეკატერინე, თავად ალექსანდრე ვახვახიშვილის ასული. (1869-1934).

34/25. ნინო გიორგის ას.; (30.10.1867-1941) ~ (29.06.1894) თავადი ვასილ გიორგის ძე ფავლენიშვილი. (1854-1918).

35/25. იოსებ (ზურაბ) გიორგის ძე. (8.02.1870-3.11.1913). გარდაიცვალა ტვინის შერყევით. ~ (22.05.1909) ქეთევან, აზნაურ ბესარიონ საყვარელიძის ასული (1879-?).



ნუსხა 4-ის კომენტარები

3/1. რაფიელ დავითის ძე. (6.02.1822-19.02.1901) სახელმწიფო მრჩეველი (“статский советник”). ცნობილი ქართველი მწერალი, პოეტი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. ~ (27.01.1863) თეოდოსია, თავად დავით გურიის ერისთავის ასული. (1840-1891).

4/1. იოსებ (სოსიკო) დავითის ძე. (25.01.1829-3.03.1889). ~ I. დარია, თავად იოსებ თუმანიშვილის ასული, ალექსანდრე ყაზბეგის ნახევარდა. (1835-25.05.1872). მოკლულია ხანჯლით. ~ II. (14.01.1876) ვარვარა მირზას ას. (Мирзоевна) დავიდოვა (1857-?) (სომეხი).

5/1. ანა დავითის ას.; (1833-18.04.1878). გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე მუშაობდა არდაღანის ჰოსპიტალში მოწყალების მედდად. ~ (27.07.1846) (ყვარელი) თავადი ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე. (1829-1897).

6/1. ბარბარე დავითის ას.; (1838-10.04.1895). ~ თავადი ზაქარია ნოშრევანის ძე ჯორჯაძე. (1818-?).

7/1. კონსტანტინე დავითის ძე. (1850-1891). ~ (12.11.1874) ევა, მღვდელ ვასილ ხატიაშვილის ასული. (1852-1938).

8/1. ანასტასია დავითის ას.; ~ N. გამყრელიძე.

10/3. ბარბარე (ბაბალე, ბაბუცა) რაფიელის ას.; (11-11. 1863-1925). ~ თავადი ნიკოლოზ გრიგოლის ძე ხიმშიაშვილი. (1861-1909).

11/3. ნინო რაფიელის ას.; (21.01.1865-?). ~ (22.08.1884) თევდორე (Фёдор) ვასილის ძე ეკიმოვი. (1860-?). კორნეტი.

12/3. თეოდოსია (ფოსია) რაფიელის ას.; (10.02.1866-1947). ~ (8.11.1901) თავადი ლევან (ტიტიკო) ალექსანდრეს ძე მაყაშვილი (1869-1915).

14/3. ანასტასია რაფიელის ას.; (8.04.1869-1951). ~ (22.09.1896) ვასილ ბესარიონის ძე კახიძე. (?-1937).

16/3. ელენე რაფიელის ას.; (21.05.1872-1952). ~ (8.11.1892) თავადი გიორგი დავითის ძე ტუსიშვილი. (1870-?).

18/4. დავით იოსების ძე. (7.10.1854-25.11.1919). ~ ანა, თავად ალექსანდრე ანდრონიკაშვილის ასული. (1867-1911).

20/4. ნიკოლოზ იოსების ძე. (4.01.1858-19.02.1910). ~ (11.11.1884) ელენე (ნენე), თავად გიორგი მაყაშვილის ასული. (1862-?).

23/18. ნინო დავითის ას.; (12.10.1895-1975). თავადი პლატონ (ენუქი) სარდიონის ძე ფაღავა. (1893-1920).

24/18. მარიამ დავითის ას.; (1.04.1897-?) ~ ჰერმან ჰეტცი. (გერმანია). (?-1939).

25/18. რაფიელ დავითის ძე. (4.12.1898-1977, საფრანგეთში).

26/18. ალექსანდრე დავითის ძე. (15.10.1903-1983). ~ თამარ სპირიდონის ას. კანდელაკი. (1910-1992).

27/18. ბეჟან დავითის ძე. (1.07.1905-1980). ~ ქეთევან კონსტანტინეს ას. ცერცვაძე. (1911-1966).

28/20. ივანე (მამია) ნიკოლოზის ძე. (1.10.1888-1923). მოკლა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა. ~ I. მარიამ ვასილის ას. რაზმაძე. ~ II. თამარ ცინცაძე.

29/20. სოფიო ნიკოლოზის ას.; (5.06.1892-1990). ~ (15.07.1910) თავადი გიორგი რევაზის ძე ჩოლოყაშვილი. (1887-1919).

30/20. თამარ (დაგმარა) ნიკოლოზის ას.; (6.12.1898-1960) ~ N. ჩერქეზიშვილი.

31/26. მალხაზ ალექსანდრეს ძე. (დ.1939). ~ ნატალია გივის ას. მარღანია. (დ.1948).

32/26. გივი ალექსანდრეს ძე. (დ.1946). ~ I. ნანი კოხრეიძე. (1946-1995). ~ II. ნინო N.

33/27. ნოდარ ბეჟანის ძე. (დ.1931). ~ ევგენია ილიას ას. მელიქიძე. (დ.1938).

34/27. ნუგზარ ბეჟანის ძე. (1933-1982). ~ ქეთევან ალექსის ას. ფილიევი. (დ.1935).

35/27. დავით ბეჟანის ძე. (დ.1937). ~ ზეინაბ ვახტანგის ას. კანდელაკი. (დ.1944).

36/27. ოთარ ბეჟანის ძე. (1943-2000). ~ ვარდო ლევანის ას. აგლაძე.

37/28. ელენე (ელო) ივანეს ას. (1909-1972). ~ გრიგოლ სიმონის ძე შეყილაძე.

38/28. ნინო ივანეს ას.; (25.09.1910-?). ~ ვასილ სევერიანის ძე ფრანგიშვილი.

39/28. ეკატერინე ივანეს ას.; (1.08.1913-1976). ~ ნაპოლეონ ალექსის ძე ლაშხი (1913-?).

41/31. ალექსანდრე მალხაზის ძე. (დ.1972). ~ ნათია გიგლას ას. როგავა. (დ.1976).

42/32. თამარ (თამუნა) გივის ას.; (დ.1971). ~ თემურ გაგუა.

44/33. ანა ნოდარის ას.; (დ.1959). ~ გიორგი ცეზარის ძე ჯალაბაძე. (დ.1958).

45/33. მალხაზ ნოდარის ძე. (დ.1964). ~ თეონა გიორგის ას. ინიაშვა. (დ.1965).

46/34. ნინო ნუგზარის ას.; (დ.1963). ~ გიორგი ლევანის ძე გიგაური. (დ.1963).

48/35. ზურაბ დავითის ძე. (დ.1965). ~ ირინე ირაკლის ას. მოწერელია. (დ.1972).

49/35. გიორგი დავითის ძე. (დ.1970). ~ ნინო გაიოზის ას. ჯავახიშვილი. (დ.1973).

50/36. ზაალ ოთარის ძე. (დ.1968). ~ ელენა N.

51/36. ქეთევან ოთარის ას.; (დ.1968). ~ კობა დიმიტრის ძე კიკნაძე. (დ.1968).

52/36. თეიმურაზ ოთარის ძე. (1971-2007). ელენა ვიტალის ას. კოროტჩენკო.



ნუსხა 5-ის კომენტარები

3/1. დავით კონსტანტინეს ძე. (12.11.1876-1937). რეპრესირებული. ~ I. სოფიო მეტრეველი; ~ II. თინათინ ციხისთავი; ~ III. ანა, თავად მიხეილ ბაბადიშის ასული; (1896-1978).

4/1. ლევან კონსტანტინეს ძე. (21.01.1879-1925). ~ ელისაბედ ერასტის ას. ხუციშვილი. (1882-1965).

5/1. მიხეილ (მიხაკო) კონსტანტინეს ძე. (2.08.1881-1938). ~ N. ხოშტარია.

6/1. ზაქარია (შაქრო) კონსტანტინეს ძე. (1855-2.11.1942). ~ მარია ზაქარიას ას. (Захарьевна) ვართანოვა. (1900-1969).

7/3. თამარ დავითის ას.; (დ.1935). ~ რობერტ ქამქაძე. (1930-2009).

9/4. კონსტანტინე ლევანის ძე. (1904-1975) ~ I. ალისა ალექსანდრეს ას. სემიონოვა. (1910-?). 1943წ. მიესაჯა კატორღაზე მუშაობის 15 წელი, ოკუპირებულ ტერიტორიაზე გერმანელებთან თანამშრომლობისათვის. ~ II. ნინო ტურაბელიძე. (1908-1974).

10/4. თამარ კონსტანტინეს ას.; (1906-1927). ~ ვართან ბაბუევი.

11/4. ანა კონსტანტინეს ას.; (1908-1975). ~ სოლომონ გიორგის ძე ჯაჯანიძე.

15/4. შალვა კონსტანტინეს ძე. (1918-1974). ~ ნინო ალექსანდრეს ას. ღადალაშვილი. (1925-1988).

17/4. დიმიტრი კონსტანტინეს ძე. (1926-2000). ~ ლამარა ალექსანდრეს ას. ლუხუტაშვილი. (დ.1926).

18/5. ნინო მიხეილის ას.; (1906-1946). ~ მიხეილ პორფილეს ძე გოჩელაშვილი. (1905-1962).

19/6. ვახტანგ ზაქარიას ძე. (1918-1991). ~ ნუნუ მოსეს ას. თარხანოვა. (1919-1986).

20/6. იოსებ ზაქარიას ძე. (დ.1920). ~ ვენერა გენადის ას. გაგანაშვილი. (1937-2000).

21/6. ბიძინა ზაქარიას ძე. (1923-1986). ~ ლამარა აკაკის ას. ცხვედიანი.

22/6. ელენე (ელიკო) ზაქარიას ას.; (დ.1926). ~ მერაბ ირაკლის ძე გამყრელიძე. (დ.1924).

23/9. ელზა კონსტანტინეს ას.; (დ.1934). ~ შალვა არჩილის ძე სააკაშვილი.

24/9. თინათინ კონსტანტინეს ას.; (დ.1944). ~ გურამ ბიძინას ძე აბულაძე. (დ.1941).

25/9. ქეთევან კონსტანტინეს ას.; (დ.1946). ~ რევაზ აკაკის ძე ურუშაძე. (დ.1946).

26/15. ლევან შალვას ძე. (დ.1946). ~ ქეთევან დავითის ას. ხოხობაშვილი. (დ.1950).

27/15. ბელა შალვას ას.; (დ.1949). ~ ზანგურ კონსტანტინეს ძე გორდეზიანი. (დ.1939).

28/17. მედეა დიმიტრის ას.; (დ.1951). ~ დავით გიორგის ძე პავლიაშვილი. (დ.1948).

29/17. დავით დიმიტრის ძე. (დ.1962). ~ თამარ ბორისის ას. შავლაძე. (დ.1971).

31/19. თამარ ვახტანგის ას.; (დ.1947). ~ გურამ ბაქანიძე. (დ.1940).

32/20. მანანა იოსების ას.; (დ.1962). ~ გიორგი ილიას ძე ბაღაშვილი (დ.1951).

33/20. ნუგზარ იოსების ძე. (1963-1990). ~ ციცო ავთანდილის ას. ყაზარაშვილი. (დ.1963).

37/21. ბიძინა ბიძინას ძე. (1963-2006). ~ მარეხ N.;

38/26. შალვა ლევანის ძე. (დ.1971). ~ ნინო ანზორის ას. მოსიაშვილი. (დ.1971).

39/26. თეკლე ლევანის ას.; (დ.1973). ~ ირაკლი კარლოს ძე მაისურაძე. (დ.1973).



ნუსხა 6-ის კომენტარები

2/1. ნუგზარ პაპუას ძე. ჩანს (1678-1707). ბოქაულთუხუცესი. (1707-1709) წლებში.

3/1. ზურაბ პაპუას ძე. ჩანს (1688-1727). ეშიკაღაბაში (1707-1709) წლებში. ბოქაულთუხუცესი.

4/1. ვამიყ პაპუას ძე. ჩანს (1688-1730). ~ მარიამ N.

5/1. არსენ პაპუას ძე. ჩანს (1688-1690). ჯვარის მამა (1690).

8/2. იოთამ (იოსებ) ნუგზარის ძე. (1706-1742). გაემგზავრა რუსეთს 1730 წ. მსახურობდა ქართველ ჰუსართა პოლკში.

9/2. ოთარ (რუსეთში – Онуфрий) ნოგზარის ძე. (ჩანს 1751). გაემგზავრა რუსეთს. ვასმისტრი. მსახურობდა ქართველ ჰუსართა პოლკში.

10/3. პაპუა ზურაბის ძე. ჩანს (1724-1735). გაემგზავრა რუსეთს 1724წ., მაგრამ, შემდგომ, დაბრუნდა საქართველოში.

11/3. დავით ზურაბის ძე. (?-1738). გაემგზავრა რუსეთს მეფე ვახტანგთან ერთად 1724 წ-ს. დაიღუპა ოჩაკოვოსთან ბრძოლაში.

13/4. ნუგზარ ვამიყის ძე. (ჩანს 1728). ~ თინათინ N.; (ჩანს 1727).

14/4. მამუკა ვამიყის ძე. ჩანს (1727-1729). ~ მარიამ N.

17/4. იოსებ ვამიყის ძე. (ჩანს 1738). არქიმანდრიტი.
18/8. სიმონ იოთამის ძე. (1735-?). როტმისტრი.

19/8. სტეფანე იოთამის ძე. პოლკოვნიკი.

21/10. მარიამ პაპუას ას.; (რუსეთში – Мария Павловна). ~ თავადი ოთარ (რუსეთში – Онуфрий) შერმაზანის ძე ჩოლოყაშვილი. ჩანს (1670-1738).

22/11. სტეფანე დავითის ძე. (დ. 1738 ახლო – 24.01.1804). უსტ-კამენოგორსკის ციხე-სიმაგრის კომენდანტი, (1778-1799) წლებში. გენერალ-ლეიტენანტი. ~ I, ვარვარა მელქისედექის (რუსეთში _ მატვეის) ას. ბარათაევა. (1749-1785). ტრაგიკულად დაიღუპა ხანძრის დროს. ~ II. მარია გავრიილის ას.; N (1770-1835).

25/22. ნიკოლოზ სტეფანეს ძე. (?-1813). პორუჩიკი. დაიღუპა ლეიფციგთან ბრძოლაში.

27/22. ელენე ლტეფანეს ას.; (1795-р.1827). ~ აზნაური გრიგორი გრიგორის ძე მოსკვინი.

28/22. გლაფირა სტეფანეს ას.; (1797- р.1827). ~ (1817) შთამომავლობითი აზნაური (потомственный дворянин) ივან კონსტანტინეს ძე კოკშაროვი. (1790-р.1827).

30/24. ანდრეი ივანეს ძე. (1828-р.1858). შტაბს-როტმისტრი. ~ ელენა გრიგორის ას. N.;